



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

9 მარტი 2022 წელი

N 15/36

ეგზ.: N 1

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019-
2020 წლების საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	9
	აუდიტის მეთოდოლოგია	9
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	10
დანართები	დანართები	28
	საკონტაქტო ინფორმაცია	29

ტერმინები და შემოკლებები

- მუნიციპალიტეტი – ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი.
- მერია – ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია.
- საკრებულო – ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- შემსყიდველი ორგანიზაცია – ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია.
- ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

საბიუჯეტო რესურსების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

რესურსების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2019-2020 წლებში, შესაბამისად, 9%¹ და 12%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა

გამოუყენებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას შეისყიდა 178.4 ათასი ლარის ღირებულების ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია.

ხელშეკრულებების ადმინისტრირება

მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს საჯარიმო სანქციები დაარიცხა ხელშეკრულებების პირობების შეუსაბამოდ და დამატებით ვერ მიიღო 190.0 ათასი ლარის შემოსავალი.

შესყიდვების პროცესის მართვა

არაეკონომიური ხარჯი

სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კვებითი მომსახურების შესყიდვისას, პროცესის არასათანადოდ წარმართვის გამო, მუნიციპალიტეტმა დაკარგა არსებითი მოცულობის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

კანონშეუსაბამო დისკვალიფიკაცია

მერიისა და მის მიერ დაფუძნებული სუბიექტის მიერ პრეტენდენტების კანონშეუსაბამო დისკვალიფიკაციის შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 16.8 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

შემოსავლების მართვა

მიუღებელი მოსაკრებელი

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები, შემოსავლების ადმინისტრირების კუთხით, სუსტია - 2020 წლის ბოლოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაუხდელობა დასუფთავების მოსაკრებლის თანხამ 2,263.1 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 650.5 ათასი ლარი 2019-2020 წლებში წარმოქმნილი დავალიანებაა.

მიუღებელი საიჯარო შემოსავლები

2021 წლის 1 იანვრისათვის გადაუხდელი საიჯარო თანხა 144.0 ათას ლარს შეადგენდა. მუნიციპალიტეტის ინტერესების დასაცავად, მერია არ ატარებდა ქმედით ღონისძიებებს დავალიანების მქონე მოსარგებლეების მიმართ.

არასაბაზრო ფასად გაცემული ქონება

სარგებლობის ფორმით გაცემული ზოგიერთი მუნიციპალური ქონების საფასური ნაკლებია საბაზრო ფასზე და ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს მნიშვნელოვან შემოსავლებს. მიუხედავად ამისა, მერიას არ გაუტარებია ქმედითი ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

¹ ვერ იქნა ათვისებული 2,294.8 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 2,778.7 ათასი ლარი.

³ 2019 წელს - 4,710.6 ათასი ლარი, 2020 წელს - 4,504.8 ათასი ლარი.

**ტრანსპორტის შენახვა და
ექსპლოატაცია**

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 70-77 ერთეულით აღემატებოდა საქართველოს მთავრობის მიერ რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას.

რეკომენდაციები

მუნიციპალიტეტის მერიამ:

– ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად; ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს პრიორიტეტული პროექტების განსახორციელებლად.

– დანერგოს კონტროლის შესაფერისი მექანიზმები და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტების წარმატებით განხორციელებას. ამასთანავე, შეისწავლოს და შეაფასოს გამოუყენებელი დოკუმენტაცია და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დანიშნულების მიხედვით გამოსაყენებლად.

– უზრუნველყოს ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების დაცვა და არ დაუშვას მათი შეცვლა შემსყიდველის ინტერესების საზიანოდ. კერძოდ, საჯარიმო სანქციები გაიანგარიშოს სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულ დასრულებას, მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

– დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები სრულდება ხარისხიანად და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; რეგულარულად აწარმოოს შესყიდული ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, ამოქმედოს გარანტიის მექანიზმი ნაკლოვანებების/ხარვეზების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და ინფრასტრუქტურული პროექტებით სარგებლობის შესაძლებლობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

– გაატაროს ქმედითი ღონისძიებები გადაუხდელი საიჯარო თანხის და საურავის ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზების მიზნით. ამასთანავე, შეისწავლოს სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების საფასურის განსაზღვრის საკითხი და შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ საბაზრო ფასებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ზრდას და მუნიციპალური ქონების ეფექტიან გამოყენებას.

– უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებული რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ:

- შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მართვისა და განკარგვის პროცესის გაუმჯობესებას.
- იმსჯელოს დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და კუთვნილი შემოსავლების მიღებას.
- შეიმუშაოს წესი საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაეფუძნება მიღებულ კარგ პრაქტიკას, ხელს შეუწყობს საწვავის ხარჯების რაციონალიზაციას.
- გადახედოს არსებულ პრაქტიკას, განიხილოს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები, დაფინანსების საკითხი და მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება, რაციონალურობის პრინციპის დაცვით, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობისათვის სასარგებლო მომსახურების მიღება-გავრცელებასა და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოს სერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი – გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა სერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2020 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:⁴

⁴ 2019-2020 წლებში მოქმედი რედაქციით.

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №80 „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №158 "ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 10 ადმინისტრაციულ ერთეულს,⁵ თვითმმართველი ერთეულის ფართობია 60 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 130.1 ათასს კაცს.⁶ მუნიციპალიტეტი აფინანსებს მის მიერ დაფუძნებულ 15 იურიდიულ პირს - 12 ა(ა)იპ-სა და 3 შპს-ს.

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 14,411.5 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურული განვითარება - 46,617.9 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა - 10,260.0 ათასი ლარი; განათლება - 22,518.1 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 15,395.0 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 8,615.3 ათასი ლარი.

⁵ <http://mreg.reestri.gov.ge>

⁶ www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge; 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ბიუჯეტის შესრულება

2.1.1 ფინანსური

რესურსების მართვაში

არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი. ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁷

მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁸

ფაქტობრივი გარემოება. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა – 116,020.2 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 117,817.7 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2019-2020 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წელი			2020 წელი			შესრულებების ჯამი
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	
შემოსულობები	54,639.9	59,035.1	108%	53,763.4	56,985.1	106%	116,020.2
შემოსავლები	53,889.9	56,875.1	105.5%	52,127.5	55,072.9	105.7%	111,948.0
არაფინანსური აქტივების კლება	750.0	2,160.0	288%	1,635.9	1,912.2	116.9%	4,072.2
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებები ს ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	64,136.3	60,566.2	94.4%	61,932.5	57,251.5	92.4%	117,817.7
ხარჯები	37,765.2	36,490.5	96.6%	38,713.1	36,811.3	95.1%	73,301.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	25,543.9	23,249.1	91%	22,742.4	19,963.7	87.8%	43,212.8
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებები ს კლება	827.2	826.6	99.9%	477	476.5	99.9%	1,303.1
ნაშთის ცვლილება	-9,496.4	-1,531.1		-8,169.1	-266.4		

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6. პუნქტი 1. ქვეპუნქტი „გ“.

ორივე საანგარიშო წლისათვის მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა, კერძოდ, მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ნაწილი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, საბავშვო ბაღების, საჯარო სკოლების, პარკების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

გარდა დაგეგმილი და აუთვისებული თანხებისა, მუნიციპალიტეტს 2019-2020 წლებში თავისუფალი ნაშთის სახით გააჩნდა არსებითი მოცულობის თანხები, კერძოდ:

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 9,741.8 ათასი ლარი. წლის განმავლობაში დაიგეგმა 9,496.4 ლარის ხარჯვა, თუმცა ფულადი სახსრების გამოყენებამ (კლებამ) 1,531.1 ათასი ლარი შეადგინა და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი – 8,210.7 ათასი ლარი. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 4,710.6 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია. ნაშთის წარმოქმნა ძირითადად გამოწვეულია სატენდერო ეკონომიებითა და შემოსავლების გეგმის გადაჭარბებით - წლის ბოლო თვეებში გეგმის ზევით მიღებული საგადასახადო და სხვა ტიპის შემოსავლებით.

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 2019 წლის ბოლოს დაგროვებული ნაშთიდან 8,169.1 ათასი ლარის გამოყენება, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების გამოყენებამ (კლებამ) 266.4 ათასი ლარი შეადგინა. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 7,944.3 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 4,504.8 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია. ნაშთის წარმოქმნა ძირითადად გამოწვეულია სატენდერო ეკონომიებითა და შემოსავლების გეგმის გადაჭარბებით - წლის ბოლო თვეებში გეგმის ზევით მიღებული საგადასახადო და სხვა ტიპის შემოსავლებით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილის დროულად განხორციელება, საბიუჯეტო შემოსავლების სათანადო დაგეგმვა და დაგროვება არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად; ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს პრიორიტეტული პროექტების განსახორციელებლად.

2.2 ინფრასტრუქტურული პროექტები

2.2.1 უხარისხო საპროექტო დოკუმენტაცია და ხელშეკრულების ცვლილებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.⁹ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდებას. ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს მიმწოდებლის მიმართ სანქციებს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცესი. გამოვლინდა, რომ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისი პროდუქტის მიღებას, კერძოდ:

2019-2020 წლებში სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისთვის გაფორმებული 156 ხელშეკრულებიდან 60-ში შესულია სხვადასხვა ცვლილება, რომელიც უკავშირდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირებას. კერძოდ, პროექტებში არ იყო გათვალისწინებული ყველა სამუშაო, ხარჯთაღრიცხვებში არსებობდა შეცდომები, დაუზუსტებელი იყო მოცულობები და სხვ.

პროექტებში არსებული ხარვეზების გამო, იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში იწვევდა სამუშაოების დასრულების ვადების გაზრდას. შედეგად, 28 ინფრასტრუქტურული პროექტი, საერთო ღირებულებით – 20,459.4 ათასი ლარი,¹⁰ დასრულდა 10-დან 92 დღემდე ვადაგადაცილებით და შესაბამისი სერვისები მოსახლეობას მიეწოდა დაგვიანებით. მაგალითად:

2019 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ასფალტბეტონის გზისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 2,676.9 ათასი ლარი.¹¹ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხელშეკრულებაში განხორციელდა 6 ცვლილება, მათ შორის, გაიზარდა ხელშეკრულების ღირებულება, დაზუსტდა მოცულობები და გეგმა-გრაფიკი. შედეგად, სამუშაოების საბოლოო მიწოდების ვადა 80 დღით გაიზარდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე და აუარესებდა შემსყიდველის პირობებს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება (ჯარიმა/საურავის დარიცხვის კუთხით) საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

2.2.2 გამოუყენებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

კრიტერიუმი: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ძირითადი მიზანია, განისაზღვროს იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო სამუშაოები, რომელთა წარმატებით განხორციელების შედეგად მოსახლეობას დროულად მიეწოდება ხარისხიანი მუნიციპალური სერვისები. იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო ორგანიზაცია

⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁰ 2019 წელი - 11,623.5 ათასი ლარი, 2020 წელი - 8,835.9 ათასი ლარი.

¹¹ NAT190000851.

შეისყიდის მხოლოდ საპროექტო მომსახურებას და შემდეგ არ დაგეგმავს პროექტის შესაბამის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, გადახდილი თანხები შეიძლება ჩაითვალოს არაეფექტიან ხარჯად.¹²

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში შეისყიდა 137.2 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია,¹³ რომელიც ითვალისწინებდა 4,411.5 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების 7 პროექტის განხორციელებას. მერიას აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაციების გამოყენების მიზნით შესყიდვები არ განუხორციელებია, მაგალითად:

2019 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა მეგობრობის გამზირის კორპუსების¹⁴ ფასადების (გამზირის მხრიდან) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით – 42.7 ათასი ლარი.¹⁵ მერიას პროექტი 2021 წლის მდგომარეობით არ განუხორციელებია. აღსანიშნავია, რომ ფასადების რეაბილიტაცია 2021 წელს დაიწყო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში, მის მიერ შესყიდული პროექტის საფუძველზე. შესაბამისად, მერიის მიერ ამ ობიექტზე შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოყენება ვეღარ განხორციელდება და მასში გადახდილი თანხა შეიძლება ჩაითვალოს არაეფექტურ ხარჯად.

აღსანიშნავია, რომ მერიას ასევე არ გამოუყენებია 2017-2018 წლებში შესყიდული 41.2 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებდა 6,162.2 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების 18 პროექტის განხორციელებას, მაგალითად:

2017 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქ. რუსთაველაში ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გამლიერების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით – 17.2 ათასი ლარი.¹⁶ პროექტი 2021 წლის მდგომარეობით არ განხორციელებულა.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტების გამოუყენებლობის მიზეზს წარმოადგენს არასაკმარისი ფინანსური რესურსი. აღნიშნული ადასტურებს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის ეტაპი ხორციელდება ხარვეზებით. კერძოდ, მუნიციპალიტეტს საწყის ეტაპზე უნდა განესაზღვრა პროექტის რეალური საჭიროება, სავარაუდო ღირებულება, დაფინანსების წყარო და მხოლოდ ამის შემდეგ განუხორციელებინა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცედურები. ამასთანავე, წარმოდგენილი არგუმენტი შეუსაბამოა, რადგან მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში გააჩნდა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას შეისყიდა 178.4 ათასი ლარის ღირებულების ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია. პროექტების შეძენაზე გაწეული ხარჯის ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს არაეფექტიან ხარჯად. ამასთანავე, არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და სხვადასხვა გარემოებების (მათ შორის ობიექტის მდგომარეობა) ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

¹² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „ა“.

¹³ მათ შორის: 2019 წელს – 87.6 ათასი, 2020 წელს – 49.6 ათასი ლარი.

¹⁴ N12, N14, N16, N18 და N20.

¹⁵ NAT190013533

¹⁶ NAT170002339

დოკუმენტაცია გახდეს შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

რეკომენდაცია №2

მერიამ დანერგოს კონტროლის შესაფერისი მექანიზმები და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტების წარმატებით განხორციელებას. ამასთანავე, შეისწავლოს და შეაფასოს გამოუყენებელი დოკუმენტაცია და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დანიშნულების მიხედვით გამოსაყენებლად.

2.2.3 საჯარიმო სანქციების დარიცხვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულებების თანახმად, ფორსმაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. საჯარიმო სანქციების მიზანია მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევის პრევენცია.

ფაქტობრივი გარემოება 1: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა 81 ხელშეკრულებისათვის გამოიყენა საჯარიმო სანქცია სამუშაოების მიწოდების ვადების დარღვევის გამო. საჯარიმო თანხების დარიცხვის პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტი ჯარიმას არიცხავდა არასწორად. კერძოდ, საჯარიმო სანქცია დარიცხულია საბოლოო მიწოდების ვადის ამოწურვიდან სამუშაოების დასრულების რეალურ დრომდე, არა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების მიხედვით, არამედ გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული თითოეული პუნქტის ღირებულებიდან გამომდინარე, მაგალითად:

მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქ. რუსთავეში, სააკაძის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 402.3 ათასი ლარი.¹⁷ მიმწოდებელი სამუშაოებს ასრულებდა გეგმა-გრაფიკის დარღვევით და სამუშაოები შესრულდა 101 დღის ვადაგადაცილებით. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს დაარიცხა პირგასამტეხლო 25.4 ათასი ლარის ოდენობით, გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულებიდან გამომდინარე. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მიმწოდებლისათვის დასარიცხი ჯარიმა ნაცვლად 25.4 ათასი ლარისა, შეადგენდა ყოველდღიურად ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ს, ანუ ჯამში 40.6 ათას ლარს.¹⁸

გარდა იმისა, რომ მუნიციპალიტეტი პირგასამტეხლოს არ არიცხავს სრული სახელშეკრულებო ღირებულებიდან გამომდინარე, ასევე სამუშაოების მიწოდების ვადის ამოწურვამდე, არ ახორციელებს სამუშაოების მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკთან ჩამორჩენის კონტროლს. გეგმა-გრაფიკის რეალური კონტროლისა და პირგასამტეხლოს ხელშეკრულების პირობების მიხედვით, დარიცხვის შემთხვევაში საჯარიმო სანქციები კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა საჯარიმო სანქციების გაანგარიშებისას არ დაიცვა ხელშეკრულებების პირობები. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი მიმწოდებლებზე პირგასამტეხლოს დარიცხვისას გაითვალისწინებდა

¹⁷ NAT200000818.

¹⁸ $402.3 \times 0.1\% \times 101 = 40.6$

ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობას და საჯარიმო სანქციას დაითვლიდა სახელშეკრულებო ღირებულებიდან გამომდინარე, მიიღებდა დამატებით 190.0 ათასი ლარის შემოსავალს.

ფაქტობრივი გარემოება 2: მუნიციპალიტეტმა 2019 წელს ერთი და იმავე მიმწოდებლისაგან ორი ხელშეკრულებით შეისყიდა სკოლის შენობების რეაბილიტაციის სამუშაოები.¹⁹ სამუშაოები დასრულდა, შესაბამისად, 36 და 69 დღის დაგვიანებით. მიუხედავად ამისა, მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სანქციები²⁰ და მიმწოდებელს ჯარიმა არ დააკისრა.²¹ აუდიტის ჯგუფის მიერ დარღვევის აღმოჩენის შემდეგ, მერიამ მიმწოდებელს წერილობით მიმართა ჯარიმების გადახდის მოთხოვნით.

დასკვნა

საჯარიმო სანქციების ძირითადი მიზანია ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების მიწოდების ვადების დარღვევის პრევენცია. ჯარიმების ზოგ შემთხვევაში გამოუყენებლობა არათანაბარ მდგომარეობას უქმნის მიმწოდებლებს და ამცირებს მოტივაციას დროულად, დათქმულ ვადებში შეასრულონ სამუშაოები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტი ვერ იღებს ჯარიმის სახით განსაზღვრულ შემოსავლებს.

რეკომენდაცია №3

მერიამ უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვა და არ დაუშვას მათი შეცვლა შემსყიდველის ინტერესების საზიანოდ. კერძოდ, საჯარიმო სანქციები გაიანგარიშოს სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულ დასრულებას, მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

2.2.4 უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების/წესების და შემსყიდველის მოთხოვნების დაცვით.

მერია ახორციელებს ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგს და ხარვეზების დაფიქსირების შემთხვევაში მიმართავს მიმწოდებელს, ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში, მათი აღმოფხვრის მოთხოვნით.

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის მიმდინარეობისას ჯგუფმა შერჩევით დაათვალიერა 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები. დათვალიერების შედეგად რამდენიმე პროექტზე გამოვლინდა სხვადასხვა ხარვეზი (იხ. დანართი №1).

მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, ობიექტებზე შესრულებულ სამუშაოებს, როგორც წესი, ამოწმებდა მერიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ინსპექტირების ჯგუფი; ამასთანავე, მუნიციპალიტეტი პროექტებს იბარებდა სხვადასხვა საექსპერტო ორგანიზაციის დადებითი დასკვნის საფუძველზე.²² როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგ შემთხვევაში ვერ

¹⁹ NAT190009761, NAT190013281.

²⁰ გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

²¹ პირველ შემთხვევაში – 0.7 ათასი, ხოლო მეორე შემთხვევაში – 1.9 ათასი ლარი.

²² შპს „ოპტიმალ+“, შპს „რეალექსპერტი“, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

უზრუნველყოფდა სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობას და ობიექტების ნაწილზე აღინიშნება ხარვეზები.

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის შემოწმებას, რომლებზეც ვრცელდება საგარანტიო ვადა, სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა (დადგენილი პერიოდულობით არ ხდებოდა ყველა ასეთი ობიექტის მდგომარეობის შესწავლა). აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობდა ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრას. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში მერიამ ჩაატარა მოქმედი საგარანტიო ვადების მქონე ობიექტების შემოწმება და გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით მიმწოდებლებს გაუგზავნა წერილები მათი გამოსწორების მოთხოვნით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში დანერგილი შესრულებული სამუშაოების კონტროლის სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც მერიის მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, ასევე საექსპერტო მომსახურების შესყიდვას, რიგ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დადგენილ ხარისხსა და პროექტების მდგომარეობის შესახებ მერიის დროულ ინფორმირებას. შედეგად, ობიექტების ნაწილზე ფიქსირდება ხარვეზები.

რეკომენდაცია №4

მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები სრულდება ხარისხიანად და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; რეგულარულად აწარმოოს შესყიდული ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, აამოქმედოს გარანტიის მექანიზმი ნაკლოვანებების/ხარვეზების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და ინფრასტრუქტურული პროექტებით სარგებლობის შესაძლებლობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

2.3 სახელმწიფო შესყიდვების მართვა 2.3.1 კანონშეუსაბამო დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,²³ შემსყიდველმა ტენდერის ჩატარების დროს უნდა უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა.

სამშენებლო სამუშაოების საწყისი სავარაუდო ღირებულების დასადგენად, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა, როგორც წესი, განისაზღვრება პირდაპირი დანახარჯების არაუმეტეს 10%-ის, ხოლო გეგმური მოგება – არაუმეტეს 8%-ის ოდენობით. გეგმური მოგებისა და ზედნადები ხარჯების მოცემული ზღვრული ნორმები სავალდებულოა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, საწყისი სავარაუდო ფასის განსაზღვრის მიზნით.²⁴

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით, პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვისას შეფასების ეტაპზე, სატენდერო კომისია ვალდებულია ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის შესახებ.²⁵

²³ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი „ა“.

²⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ.“

²⁵ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 5.

ფაქტობრივი გარემოება: საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტმა და მის მიერ დაფუძნებულმა სუბიექტმა სახელმწიფო შესყიდვის პროცესი ზოგ შემთხვევაში წარმართეს დადგენილი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ და არაეკონომიურად დახარჯეს საბიუჯეტო რესურსი, კერძოდ:

- 2019 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა საჯარო სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაციის მიზნით, ღირებულებით – 75.7 ათასი²⁶ ლარი.²⁷ ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე კომისიამ განახორციელა ყველაზე დაბალი ფასის – 57.5 ათასი ლარის წარმომდგენი პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. კერძოდ, კომისიამ მიუთითა, რომ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში „ზედნადები ხარჯების“ პროცენტის ოდენობა არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით²⁸ განსაზღვრულ ნორმას. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ არ გაითვალისწინა, რომ ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმის დაცვა სავალდებულო იყო არა მიმწოდებლისთვის, არამედ მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ საბოლოოდ ხელშეკრულება გაფორმდა სხვა პრეტენდენტთან, რომლის მიერ დაფიქსირებულმა ფასმა 69.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც 11.7 ათასი ლარით აღემატება პირველი პრეტენდენტის ფასს.

- მერიის დაფუძნებულმა ა(ა)იპ – რუსთავის ისტორიულმა მუზეუმმა 2019 წელს განახორციელა გამაგრებელი და სავენტილაციო მოწყობილობების შეძენა-მონტაჟის შესყიდვა.²⁹ ვაჭრობის ეტაპზე გამარჯვებულ პრეტენდენტს შემსყიდველმა მოსთხოვა დოკუმენტაციის დაზუსტება და მიუთითა რამდენიმე პუნქტის გასწორების შესახებ. ამასთანავე, კომისიამ სრულად არ განსაზღვრა დასაზუსტებელი პოზიციები და არ დააფიქსირა, რომ პრეტენდენტის წინადადებას არ ახლდა ელექტრონული ხელმოწერა ან/და ელექტრონული ბეჭედი. შედეგად, პრეტენდენტმა დაზუსტებული დოკუმენტაცია წარმოადგინა იმავე ხარვეზით, რის გამოც მოხდა მისი დისკვალიფიკაცია. მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტთან და შესასყიდი მომსახურების ღირებულება 5.1 ათასი ლარით გაიზარდა.³⁰

მუნიციპალიტეტმა და მის მიერ დაფუძნებულმა სუბიექტმა შესყიდვების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. შესყიდვების პროცესის შეუსაბამოდ წარმართვის გამო, ადგილობრივმა ბიუჯეტმა დაკარგა 16.8 ათასი ლარის ეკონომიის შესაძლებლობა.

დასკვნა

²⁶ თანხები წარმოდგენილია დღგ-ის ჩათვლით.

²⁷ NAT190009256.

²⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ.“

²⁹ NAT190007905

³⁰ დღგ-ის ჩათვლით.

2.3.2 უფასო სასაბუღალტრო მომსახურების შესყიდვის ხარვეზები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.³¹

სატენდერო პროცესისაგან განსხვავებით, გამარტივებული შესყიდვის დროს საქონლის/მომსახურების მიწოდების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს არასაბაზრო ფასად, რაც წარმოშობს საბიუჯეტო თანხების არაეკონომიური ხარჯვის რისკებს.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად შეისყიდის სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კვებით უზრუნველყოფას. როგორც წესი, შესაბამისი ტენდერი ცხადდებოდა წინა წლის ნოემბერ-დეკემბერში.

2021 წლის უფასო სასაბუღალტრო კვებითი მომსახურების შესყიდვა³² მუნიციპალიტეტმა ამავე წლის იანვარში გამოაცხადა, რითაც შეუძლებელი გახდა ტენდერის მეშვეობით მოქალაქეებისთვის მომსახურების უწყვეტი მიწოდება. პასუხისმგებელი პირების ინფორმაციით, ტენდერის დაგვიანებით გამოცხადება მენიუს დაზუსტებისა და ფასთა კვლევის პროცესის გაჭიანურებამ გამოიწვია. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით, მუნიციპალიტეტმა 25 მარტს ტენდერი შეწყვიტა. ამჯერად დაზუსტებას საჭიროებდა კვების ობიექტების ადგილმდებარეობები და ბენეფიციართა მაქსიმალური რაოდენობები აღნიშნული დაწესებულებებისთვის, რაც მერიას ტენდერის გამოცხადებამდე შეეძლო დაედგინა.

2021 წლის აპრილში მერიამ გამოაცხადა ახალი ტენდერი.³³ გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მომსახურების მიწოდებას 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ღირებულებით – 455.8 ათასი ლარი,³⁴ რაც თვეში საშუალოდ 86.0 ათას ლარს შეადგენს.³⁵

7 თვის განმავლობაში – 2021 წლის 1 თებერვლიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ქალაქ რუსთავის მცხოვრებთა – სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და შშმ პირთა კვებითი მომსახურება მუნიციპალიტეტმა შეისყიდა გადაუდებელი აუცილებლობით გაფორმებული გამარტივებული შესყიდვების³⁶ საფუძველზე. აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ტენდერი გამოცხადდა დაგვიანებით, შემდეგ კი ტექნიკური მიზეზით შეწყდა. სულ მუნიციპალიტეტმა გააფორმა 5 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით – 789.1 ათასი ლარი, რაც თვეში, საშუალოდ, 112.7 ათასი ლარია. შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ყოველთვიურად იხდიდა საშუალოდ 26.7 ათასი ლარით მეტს, სატენდერო შესყიდვასთან შედარებით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვის პროცესის არასათანადო დაგეგმვისა და სატენდერო დოკუმენტაციის ხარვეზებით შედგენის გამო, უფასო

³¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“: მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

³² NAT210000992.

³³ NAT210006491.

³⁴ მათ შორის 25.4 ათასი ლარი სადღესასწაულო (საახალწლო) მენიუს ღირებულებათა.

³⁵ სატენდერო პროცესი გაჭიანურდა დავების საბჭოში ერთ-ერთი პრეტენდენტის მიერ შეტანილი საჩივრის გამო.

³⁶ CMR210025869, CMR210050280, CMR210067509, CMR210080848, CMR210092089.

სასადილოების კვებითი მომსახურების შესყიდვა არსებითად გაჭიანურდა. შედეგად, მუნიციპალიტეტმა მომსახურება შეისყიდა გამარტივებული ფორმით, უკონკურენტო გარემოში, ტენდერზე³⁷ დაფიქსირებულ ფასებთან შედარებით მნიშვნელოვნად ძვირად და დაკარგა საბიუჯეტო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.4 ქონების მართვა და განკარგვა

2.4.1 მიუღებელი საიჯარო შემოსავლები

კრიტერიუმი: კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.³⁸

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ: ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში – გადაუხდელი ქირის 0.1%, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.³⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტს სარგებლობის უფლებით გაცემული ჰქონდა 78 ობიექტი (მათ შორის, 41 აღნაგობის, ხოლო 37 – ქირავნობის ფორმით).

მუნიციპალიტეტს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული შემოსავლების დროულად მიღებაზე. კერძოდ, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაუხდელი იჯარის თანხა 124.2 ათას ლარს შეადგენდა, 2021 წლის 1 იანვრისათვის კი 144.0 ათას ლარამდე გაიზარდა. ამ პერიოდისთვის დავალიანება ერიცხებოდა 78-დან 55 სუბიექტს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ქონებით მოსარგებლეების ნაწილი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იხდიდა სარგებლობის საფასურს. 2019 წლის დასაწყისში, 18 მოსარგებლის შემთხვევაში, მათი დავალიანება წლიური სარგებლობის საფასურს, მინიმუმ, 3-ჯერ და, მაქსიმუმ, 8-ჯერ აღემატებოდა (იხ. დანართი №2).

დასკვნა

მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, მერია ქმედით ღონისძიებებს არ ატარებდა დავალიანების მქონე მოსარგებლეების მიმართ. არც ერთ შემთხვევაში არ არის გამოყენებული საურავის დარიცხვის მექანიზმი. ამასთანავე, ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი საურავის დარიცხვას არ ითვალისწინებს. სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო, მუნიციპალიტეტი ცალმხრივად არ წყვეტდა ხელშეკრულებებს და არ იყენებდა კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ბერკეტებს საკუთარი ინტერესების დასაცავად.

³⁷ NAT210006491.

³⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 109, პუნქტი 2.

³⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 28, პუნქტი 3.

2.4.2 საბაზროზე დაბალ ფასად გაცემული ქონება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის ძირითადი მიზანია დამატებითი შემოსავლების მიღება. ქონების განკარგვის აუქციონის ფორმა, როგორც წესი, ზრდის სარგებლობის/საკუთრების საფასურს.

თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი გახდა და შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ გააფორმებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.⁴⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტში მოქმედებდა აღნაგობის 41 და ქირავნობის 37 ხელშეკრულება. მუნიციპალური ქონების განკარგვის პროცესი ხასიათდება შემდეგი ხარვეზებით:

- აღნაგობის 41-ვე ხელშეკრულება და ქირავნობის 37-დან 34 ხელშეკრულება მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, რაც სარგებლობის საფასურის არაკონკურენტულ გარემოში განსაზღვრაზე მიუთითებს.⁴¹

- ქონება აღნაგობის უფლებით გაცემულია 2008-2013 წლებში, გრძელვადიანი პერიოდით (10-49 წელი). მნიშვნელოვანი დროის გასვლის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს აღნაგობის საფასური არ შეუცვლია არც ერთი ხელშეკრულებისათვის. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი, რომ ხელშეკრულებების გაფორმების პერიოდში განსაზღვრული და დღემდე მოქმედი სარგებლობის საფასური მნიშვნელოვნად ნაკლებია საბაზრო ღირებულებაზე. აღნიშნული რისკი დადასტურდა შემდეგი გარემოებით:

2012 წელს რუსთავის მუნიციპალიტეტსა და შპს OLD RUSTAVI-ს შორის გაფორმდა 49-წლიანი აღნაგობის ხელშეკრულება. მოსარგებლეს გადაეცა მერაბ კოსტავას გამზირზე მდებარე ორი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი,⁴² რომლებზეც განათავსა ღია კაფეები. ხელშეკრულების შესაბამისად, სარგებლობის წლიური საფასური 515 ლარია, რომელიც მოქმედებდა 2019-2020 წლებშიც. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა მოაღნაგის მიერ გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება. დოკუმენტის შესაბამისად, შპს „OLD RUSTAVI“ ქირის სახით ყოველთვიურად იღებს 2000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტ თანხას ლარში.⁴³

- ქირავნობის 37 ხელშეკრულებიდან 14 გაფორმებულია 2013 წლამდე პერიოდში, თუმცა მუნიციპალიტეტს ქირის საფასური ხელახლა არ შეუფასებია და არ გაუზრდია. აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში პირდაპირი განკარგვის წესით ქირავნობის ხელშეკრულებები გაფორმდა 7 ობიექტზე, რომლებიც წინა

⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

⁴¹ მათ შორის 2019-2020 წლებში პირდაპირი განკარგვის წესით გაფორმებულია 12 ხელშეკრულება სარგებლობის უფლებით გაცემაზე. აქედან 5 ახალი ხელშეკრულებაა, ხოლო 7- ხელშეკრულება წარმოადგენდა უკვე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას.

⁴² 211 კვ.მ და 201 კვ.მ.

⁴³ მოაღნაგემ გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე განათავსა მსუბუქი კონსტრუქციის ორი შენობა-ნაგებობა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა დოკუმენტური მტკიცებულებები მოაღნაგის მიერ გაწეული დანახარჯების შესახებ, აქედან გამომდინარე საიჯარო ფასთა შორის ზუსტი სხვაობის გაანგარიშება ვერ განხორციელდა.

პერიოდში აუქციონის წესით იყო გაცემული და სარგებლობის ვადა ამოიწურა. აუქციონის შედეგების მიხედვით, შვიდივე ობიექტის ჯამური წლიური იჯარის თანხა იყო 6.9 ათასი ლარი. პირდაპირი განკარგვით გაცემამდე განხორციელდა ქონების ახალი შეფასებები, რომელთა საფუძველზეც შვიდივე ობიექტის ჯამური წლიური იჯარის ქირა 14.8 ათას ლარამდე (114%-ით) გაიზარდა. აღნიშნული გარემოება ასევე მიუთითებს, რომ ქონებით სარგებლობის წინა პერიოდში განსაზღვრული ფასები მნიშვნელოვან შეუსაბამობაშია მიმდინარე პერიოდის საბაზრო ფასებთან.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში გამოვლინდა ქონების მართვისა და განკარგვის სისტემური ხარვეზები. არსებობს რისკი, რომ პროცესი წარიმართებოდა არა მუნიციპალიტეტის, არამედ კონკრეტული პირების ინტერესებიდან გამომდინარე: დავალიანების მქონე მოსარგებლეების მიმართ არცერთ შემთხვევაში არ გამოყენებულა საურავის დარიცხვის მექანიზმი ან/და ხელშეკრულებები ცალმხრივად არ შეწყვეტილა; შეცვლილი გარემოებების მიუხედავად, მუნიციპალიტეტს მოქმედი ხელშეკრულებებისათვის არ გაუზრდია ქონებით სარგებლობის საფასური, რომელიც ნაკლებია საბაზრო ფასზე, რის გამოც ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს მნიშვნელოვან შემოსავლებს.

რეკომენდაცია №5

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მართვისა და განკარგვის პროცესის გაუმჯობესებას. მერიამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები გადაუხდელი საიჯარო თანხისა და საურავის ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზების მიზნით. ამასთანავე, შეისწავლოს სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების საფასურის განსაზღვრის საკითხი და შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ საბაზრო ფასებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ზრდას და მუნიციპალური ქონების ეფექტიან გამოყენებას.

2.5 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

კრიტერიუმი: „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.⁴⁴ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.⁴⁵ დადგენილი მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია დავალიანების მქონე პირების მიმართ გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახური.⁴⁶ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2019-2020 წლებში მისაღები დასუფთავების მოსაკრებლის თანხა შეადგენდა 2,214.4 ათას ლარს. ფაქტობრივად ბიუჯეტში მობილიზებულია 1,563.9 ათასი ლარი, დაგეგმილი მოსაკრებლის 71%. იურიდიული და

⁴⁴ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

⁴⁵ საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის N68 დადგენილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

⁴⁶ „ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის დებულება“, მუხლი 2.

დასკვნა**რეკომენდაცია №6**

ფიზიკური პირების გადაუხდელობა თანხამ 2021 წლის 1 იანვრისთვის სულ 2,263.1 ათასი ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტის მერია ვერ უზრუნველყოფს საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ მობილიზებას. შედეგად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ იღებს კუთვნილ შემოსავალს.

მერიამ საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და კუთვნილი შემოსავლების მიღებას.

2.6 ადმინისტრაციული ხარჯები

2.6.1 საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.⁴⁷ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც მითითებულია დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.⁴⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები გაიცემოდა საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესით.⁴⁹ დადგენილების მიხედვით, საკრებულოს სხდომებში, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩეველთან შეხვედრების, აგრეთვე საკრებულოს წევრის სხვა უფლებამოსილების და ვალდებულების განხორციელების მიზნით, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) გაწეული ხარჯების ზღვრული ოდენობა განესაზღვრა ყოველთვიურად 560 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საკრებულოს არათანამდებობის წევრებს 2019-2020 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ სულ 77.1 ათასი ლარი.⁵⁰ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად.

თანხების გაცემის საფუძველად მითითებულია მოხსენებითი ბარათები საკრებულოს წევრებისათვის ხარჯის ანაზღაურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის კრიტერიუმს. შესაბამისად, საკრებულოს წევრებზე

⁴⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁴⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“, მუხლი 5.

⁴⁹ საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №7 დადგენილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

⁵⁰ 2019 წელს - 38.9 ათასი ლარი, 2020 წელს - 38.2 ათასი ლარი.

დასკვნა

თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2019-2020 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 77.1 ათასი ლარი გაიცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.6.2 სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის⁵¹ და რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს⁵² შესაბამისი დადგენილებების მიხედვით, 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 8 ერთეული სამორიგეო ავტომანქანა.

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, მუნიციპალურ სარგებლობაში არსებულ თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ლიმიტი განისაზღვრება კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე.

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტი სარგებლობდა 14 ავტომანქანით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი საწვავს გასცემდა თანამშრომლების საკუთრებაში არსებულ 70-77 ავტომანქანაზე. სულ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ დახარჯულია 263.9 ათასი ლიტრი საწვავი, საერთო ღირებულებით – 516.4 ათასი ლარი.⁵³ მათ შორის, დასაქმებულების პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გახარჯულია 185.6 ათასი ლიტრი საწვავი.

დასკვნა

სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. აუდიტის ობიექტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია №7

მუნიციპალიტეტის საკრებულომ მერიასთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაეფუძნება მიღებულ კარგ პრაქტიკას, ხელს შეუწყობს საწვავის ხარჯების რაციონალიზაციას.

2.6.3 სარეკლამო და საინფორმაციო მომსახურების შესყიდვის ხარვეზები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.⁵⁴

მოქმედი კანონმდებლობა მაუწყებლობის შესახებ⁵⁵ განასხვავებს კომერციულ, სოციალურ ან წინასაარჩევნო რეკლამას. აკრძალულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე მისი მომსახურების შესყიდვა და მაუწყებლის პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის

⁵¹ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება.

⁵² 2019 წლის 26 სექტემბრის №139 დადგენილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“.

⁵³ 2019 წელს – 280.5 ათასი ლარი, 2020 წელს – 235.9 ათასი ლარი.

⁵⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

⁵⁵ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 66¹.

პირდაპირი, ან ირიბი დაფინანსება, ან თანადაფინანსება, გარდა სოციალური რეკლამისა. სოციალურია რეკლამა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისკენ, საქველმოქმედო მიზნების მიღწევისკენ, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ ან/და საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლის ხელშეწყობისკენ და არ შეიცავს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოს, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას.⁵⁶

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტმა საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისა და ინფორმაციის გავრცელებისათვის განახორციელა შემდეგ აქტივობები:

- მუნიციპალიტეტმა ტენდერების საშუალებით შეისყიდა სატელევიზიო და რადიო მომსახურება და ხელშეკრულება გააფორმა სს „ქვემო ქართლის ტელერადიო კომპანიასთან“.⁵⁷ შესყიდვის საგანია მერიის და საკრებულოს საქმიანობის ამსახველი სიუჟეტების მომზადება და გაშვება სატელევიზიო და რადიო ეთერის საშუალებით; დამკვეთის მიერ მიწოდებული, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ვიდეორგოლის დამზადება და გაშვება; ინფორმაციის განთავსება მოძრავი სტრიქონის საშუალებით და ა.შ. ხელშეკრულებების საკასო ხარჯი 2019-2020 წლებში 319.9 ათასი ლარია. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სარეკლამო რგოლების შინაარსი, რომლებიც რეგულარულად გადაიცემოდა ტელევიზიის ეთერში 2019-2020 წლებში. სარეკლამო რგოლების სიუჟეტი ძირითადად მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურულ პროექტებზე შექმნილი საინფორმაციო მასალაა, რომელიც რეკლამას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეულ მომსახურებას. ეს სამუშაოები სს „ქვემო ქართლის ტელერადიო კომპანიას“ საკუთარი ინიციატივით შეეძლო გაეშუქებინა, რადგან რეგიონალური ტელევიზიები ისედაც გადასცემენ ინფორმაციას მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვადასხვა აქტივობის შესახებ. ამასთანავე, სარეკლამო რგოლების შინაარსი არ აკმაყოფილებს სოციალური რეკლამის კრიტერიუმებს და შეიცავს დამკვეთის მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2019-2020 წლებში სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის“ მიერ მიღებულმა შემოსავლებმა სულ 568.0 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 56% რუსთავის მუნიციპალიტეტიდან მიღებული დაფინანსებაა.⁵⁸

- მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით ხელშეკრულება გააფორმა შპს „გაზეთ რუსთავთან“.⁵⁹ შესყიდვის საგანია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და დამკვეთის მიერ მიწოდებული სოციალური ბანერის

⁵⁶ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 2, ქვეპუნქტი „37“.

⁵⁷ NAT190002450, NAT200002041.

⁵⁸ რუსთავის მუნიციპალიტეტის გარდა, სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“ დაფინანსებას იღებს ასევე ქვემო ქართლის ზოგიერთი მუნიციპალიტეტიდან. 2019-2020 წლებში მათგან მიღებული დაფინანსება კომპანიის მთლიანი შემოსავლების 14%-ს შეადგენს, თანხით - 80 ათასი ლარი.

⁵⁹ NAT190004744, NAT200003401.

განთავსება გაზეთის მთავარ გვერდებზე. მიმწოდებლისათვის 2019-2020 წლებში გადახდილმა თანხამ სულ 38.0 ათასი ლარი შეადგინა.

- მუნიციპალიტეტმა ტენდერების საშუალებით შეისყიდა საინფორმაციო სააგენტოს მომსახურება და ხელშეკრულება გააფორმა შპს „ინფო რუსთავთან“.⁶⁰ შესყიდვის საგანია: მერიის და საკრებულოს საქმიანობის ამსახველი ტექსტობრივი, ფოტო ან ვიდეო მასალის დამზადება-გავრცელება, პირდაპირი ეთერი, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ბანერების და ვიდეორგოლების დამზადება და განთავსება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში და ა.შ. აღნიშნულ მომსახურებაში მუნიციპალიტეტს 2019-2020 წლებში სულ გადახდილი აქვს 36.2 ათასი ლარი.

- მერიაში არსებობს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახური, რომლის ფუნქციებია: მერიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ საზოგადოების ინფორმირება; მერიის საქმიანობის ანგარიშების, პრესრელიზების მომზადება/გამოქვეყნება და სხვ. 2019-2020 წლებში ასევე ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი, საიდანაც მომხმარებელს შეეძლო მიეღო ინფორმაცია მიმდინარე ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ.

დასკვნა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისათვის საჭირო საბიუჯეტო დანახარჯების ზღვარი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი არ არის. მიუხედავად ამისა, საბიუჯეტო დაწესებულებისათვის არსებობს თანხების რაციონალური და გონივრული ხარჯვის ვალდებულება, რაც მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა საკუთარი საქმიანობის რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელებისათვის საანგარიშო პერიოდში დახარჯა სულ 394.1 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რამდენად აუცილებელი იყო მუნიციპალიტეტის მიერ ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვა და იყო თუ არა დახარჯული ფულადი რესურსი, მიღებული შედეგის ადეკვატური. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში დაფინანსებულია არასოციალური რეკლამა, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

რეკომენდაცია №8

მერიამ საკრებულოსთან ერთად გადახედოს არსებულ პრაქტიკას, განიხილოს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები, დაფინანსების საკითხი და მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება, რაციონალურობის პრინციპის დაცვით, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობისათვის სასარგებლო მომსახურების მიღება-გავრცელებასა და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

2.7 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირება.⁶¹ სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. სამსახურმა უნდა შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს; რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება;

⁶⁰ NAT190003057, NAT200003541.

⁶¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. დასახული მიზნების მისაღწევად შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია სისტემური ხარვეზების აღმოფხვრაზე და მათი შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი,⁶² რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება გაირკვეს: რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს; რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხორციელდება დაფინანსების გამოყენება; არის თუ არა სრულყოფილად დანერგილი მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.

2019-2020 წლებში სამსახურმა ჩაატარა 13 აუდიტორული შემოწმება,⁶³ მათ შორის, 8 – მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში, ხოლო 5 – მერიის სამსახურებში.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილ დარღვევებზე რიგ შემთხვევაში გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც არ არის მიმართული კონკრეტული ნაკლოვანების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრასა და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, რეკომენდაციები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. სამსახურს ასევე არ განუხორციელებია შემოწმებული ობიექტების რისკის შეფასების სათანადო პროცედურები და სისტემური დარღვევების იდენტიფიცირება, რომელთა საფუძველზე უნდა მომხდარიყო ობიექტების საქმიანობაში ძირითადი რისკების გამოვლენა.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუფასებია: შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს; რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება; დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. სამსახურის საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, რისკების მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №9

მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებული რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

⁶² „ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება“, მუხლი 3.

⁶³ 2019 წელს - 7, 2020 წელს - 6.

2.8 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018 წელს ჩაატარა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება.

აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტს კვლავ გააჩნია საკუთარ ანგარიშზე მნიშვნელოვანი თავისუფალი ნაშთები;
- არ გამოსწორებულა საიჯარო შემოსავლების ადმინისტრირების ხარვეზები;
- დასუფთავების მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირება ვერ ხორციელდება;
- არ შეცვლილა მუნიციპალიტეტის მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობასთან დაკავშირებით;
- საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურების საკითხი კვლავ იმავე პრაქტიკით ხორციელდება;
- ხარვეზებია შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობაში;
- სარეკლამო და საინფორმაციო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯის მოცულობა კვლავ არსებითია. ამასთან, გავრცელებული ინფორმაცია რიგ შემთხვევებში ვერ აკმაყოფილებს სოციალური რეკლამისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები

ხელმოწერა

ბარამ ონიანი

უფროსი აუდიტორი

ქრისტინე ევალაძე

უფროსი აუდიტორი

თეა უდესიანი


უფროსი აუდიტორი



პაატა კუბლაშვილი

აუდიტორი

გიგა დალაქიშვილი

აუდიტორ-ასისტენტი



დანართები

დანართი №1

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები (ათასი ლარი).

NAT/CMR	მიმწოდებელი	დათვალიერებული ობიექტი	ღირებულება (ათასი ლარი)	გამოვლენილი ხარვეზები
CMR200099729	შპს „შა-გი“	ქალაქ რუსთავში N 10 საჯარო სკოლების სველი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები	156.6	დაზიანებულია სველი წერტილების წყალგაყვანილობა, ჩამრეცხი მოწყობილობები და წყლის ნიჟარის სიფონები. ასევე, სველი წერტილიდან წყლის გამოჟონვის გამო, დაზიანებულია სკოლის სპორტდარბაზის კედელი, რომელიც გაკეთდა 2019 წელს.
NAT190008679	შპს „არბა“	ქალაქ რუსთავში N 9 საჯარო სკოლაში მ/ტ-ზე სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები ქალაქ რუსთავში N 16 საჯარო სკოლაში მ/ტ-ზე სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები	114.8	მე-9 სკოლის მოედანზე ზოგ ადგილას მოტეხილია შემოღობვის მილკვადრატები, ასევე ბზარები აქვს მოედანთან მისასვლელ ბილიკს. სპორტულ მოედანს და მოედნამდე მისასვლელ ბილიკს აღენიშნება ბზარები.
NAT190009763	შპს კაპიტალ +	ქალაქ რუსთავში N 20 საჯარო სკოლაში სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები	39.9	სპორტულ მოედანს აღენიშნება ბზარები.
NAT190009458	შპს გლობალჰაუს	ქალაქ რუსთავში N 20 საჯარო სკოლაში სველი წერტილების რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები	57.8	დაზიანებულია სველი წერტილის წყალგაყვანილობა, ჩამრეცხი მოწყობილობა, წყლის ნიჟარის სიფონი, ჩამოვარდნილია შეკიდული ჭერი, ასევე ერთ ადგილას გამოჟონილი წყლის გამო, დაზიანებულია კედელი.
NAT200007755	შპს ტენდექსი	ქალაქ რუსთავში N 6 საჯარო სკოლაში სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები	205.2	ფანჯრის ქვეშ ჩატეხილია თაბამირ-მუყაოს ფილები.
NAT190001980	შპს „პე-ბე“	ქალაქ რუსთავში 2 (ორი) სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები	82.9	სპორტულ მოედნებზე მოტეხილია მილკვადრატები.
NAT190003501	შპს „გია კონსტრაქშენ“	ქალაქ რუსთავში დონეცკელ მეტალურგთა პირველი გასასვლელის N 3-ის მ/ტ-ზე მინი სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები	108.9	სპორტულ მოედანზე მოტეხილია შემოღობვის მილკვადრატები.
NAT190000798	შპს „პე-ბე“	ქალაქ რუსთავში სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები	137.2	სტადიონებზე დაზიანებულია შემოღობვის მილკვადრატები და შემოღობვის ბადე.
NAT190001979	შპს „კვადრელი“	ქალაქ რუსთავში 3 (სამი) სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები	134.7	სტადიონებზე დაზიანებულია შემოღობვის მილკვადრატები და შემოღობვის ბადე.

დანართი №2

მუნიციპალიტეტის ქონებით მოსარგებლეთა ნაწილის დავალიანებები

(ათასი ლარი)

საკადასტრო კოდი	გაფორმების პერიოდი	სარგებლობის წლიური საფასური	დავალიანება 2019 წლის დასაწყისში
02.02.03.987	2012 წ.	5.0	32.0
02.04.03.490/02.04.03.491	2012 წ.	3.6	23.4
02.04.02.413/02.04.02.414	2012 წ.	5.3	25.5
02.03.04.427	2011 წ.	0.6	4.4
02.04.03.424	2011 წ.	0.45	3.4

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული
ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38